ესთეტიკური შეფასების ტიპური შეცდომა -

Typical error of aesthetic evaluation - Типичная ошибка эстетической оценки

აზროვნების ილუზია, რომელიც **ესთეტიკური შეფასების** ვითარებაში ხდება. მაგ. [შ. ნადირაშვილი, დ. ძიძიგური]: ცდისპირმა –5-დან +5-მდე სკალაზე უნდა შეაფასოს ლექსი ან ნახატი. ცდისპირთა პირველი ჯგუფისთვის მიწოდებულ ლექსს (ნახატს) ავტორად უწერია გამოჩენილი ხელოვანი, მეორისთვის – უცნობი სახელ-გვარი. თვით ლექსები (ნახატები) კი ზუსტად ერთიდაიგივეა. პირველი ჯგუფის საშუალო შეფასებაა დაახლოებით +4, მეორისა – –4.

ეშტშ-ის, ისევე როგორც ზოგადად აზროვნების ილუზიის, საფუძველია **სააზროვნო განწყობის ასიმილაციური მოქმედება**, ზედმეტად გადავრცელებული, რომელსაც არ მოჰყვება მისი შესასწორებელი არც **კონტრასტული ილუზია** და არც **ობიექტივაცია** – **კონფორმიზმის, სტერეოტიპების** გავლენით [იხ. აგრეთვე **ზნეობრივი შეფასების ტიპური შეცდომა**].